თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7956253

ნომერი: AR11145079

თარიღი : 29.05.2026

გაცემის თარიღი : 10.06.2026

გაცნობის თარიღი : 10.06.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N 165გ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზვიად იმედაშვილი პ/ნ 08001005673
- დადიანის 158

ორგანიზაცია:
- ბრ დეველოპმენტი კოდი: 405596573

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 20 მაისის №7926131 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 29 მაისის №AR11145079 განცხადებით მომართა ზვიად იმედაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 20 მაისის №7926131 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 20 მაისის №7926131 ბრძანებით, №01.19.39.006.207 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2026 წლის 20 მაისის №7926131 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, გამორჩენილია არქიტექტურული გეგმები (შეთანხმებულია მხოლოდ „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების შესაბამისად დამუშავებული გეგმები) შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 20 მაისის №7926131 ბრძანების შეთანხმების დროს გეგმების pdf ფაილში გამორჩენილი იქნა არქიტექტურული გეგმების ატვირთვა. აღნიშნულ ფაილში ატვირთული იქნა მხოლოდ „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების შესაბამისად დამუშავებული გეგმები. ამასთან, დგინდება, რომ წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმები, გეგმარებითად იდენტურია და შესაბამისობაშია სამსახურის 2026 წლის 20 მაისის №7926131 ბრძანებით შეთანხმებულ 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების შესაბამისად დამუშავებული გეგმებთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 20 მაისის №7926131 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 20 მაისის №7926131 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებას დაემატოს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმები.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 20 მაისის №7926131 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 20 მაისის №7926131 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.